აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №1

2021 წლის 22 იანვარი

ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, 09/01/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010320020.32.057.016236) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) მე-8 მუხლის „ფ^{1}“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) 9^{1} მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევის ორგანიზება, სამინისტროს პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ჩართვის მსურველთა განცხადებების ანალიზი, სისტემატიზაცია, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე შესწავლა და ინფორმაციის წარმოდგენა. ასევე, სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარებზე პროგრამებითა და ქვეპროგრამებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**